დაკვეთა №72/2021

ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის გამზ. №64-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.12.01.005.625) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2021 წ.

შპს „გეოინჟკომპლექსი"
ჟიული შარტავას ქ. №43დ
თბილისი, 0160, საქართველო

"GEOENGCOMPLEX" LTD
43d Zhiuli Shartava Str., 0160
Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 37 62 55 E-mail: geo.logi@yahoo.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	მიწერილობა	2 - 3
3	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	4 – 19
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
4	გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	20 - 21
5	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	22 - 23
6	გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	24 – 29
7	წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა	30 - 33
	III გრაფიკული მასალა	
8	უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში გამონამუშევრების და ჭრილის ხაზების დატანით	ფ. №1
9	ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№2, 3
10	უბნის გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№4 – 9
11	პირობითი აღნიშვნები	ფ. №10

ტექნიკური დავალება №07-21

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

12 დეკემბერი
“-----“----------2022 წ.

- **დამკვეთი-მენაშენე** - *შ.პ.ს. “თბილაბრეშუმი”;*
- **ობიექტის დასახელება** – *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;*
- **მშენებლობის ტიპი** (ახალი, რეკონსტრუქცია, გაფართოება) – *ახალი;*
- **ობიექტის მისამართი** – *ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №64.*
  საკ. კოდი № 01.12.01.005.625
- **ობიექტის დაპროექტების სტადია** – *სამშენებლო დოკუმენტაცია;*
- **შენობის პასუხისმგებლობის დონე (ГОСТ 27751-88)** – *IV;*
- **შენობის ტიპი:** - *რკ.ბეტონის, მონოლითური, ჩარჩოკავშირიანი;*
- **ობიექტის ტექნიკური დახასიათება** – *შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, 28 სართულიანი, რომელთაგან ორი სართული სარდაფია;*
- ***ზომები გეგმაში:*** *გეგმაში მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებში–70.5X15.5მ-ზე;*
- **± 0.00 სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული:** ***± 0.00 - 462.40;***
- **სარდაფის სართულის (სართულების) მაქსიმალური ჩაღრმავება 0.00 ნიშნულიდან: - 6.20 მ.**
- **საძირკვლის სავარაუდო ტიპი:** – *დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე. განიხილება ერთიანი რკ.ბეტონის მონოლითური ფილაც და ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები;*
- **საპროექტო სავარაუდო დატვირთვა საძ.-ის ფუძეზე:** *3.5-4.5 კგ/სმ²-ზე ფილის შემთხვევაში;*
- **საველე სამუშაოები** – *საპროექტო ტერიტორიაზე გაყვანილი იქნას* ***5 (სარეკომენდაციო რაოდენობა და მდებარეობა, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს ინჟინერ-გეოლოგის მიერ)*** *ჭაბურღილი, სიღრმე განისაზღვროს გეოლოგის მიერ* ***СНиП 1.02.07-87*** *თანახმად. მათ შორის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძირითადი კლდოვანი ქანის გამოვლენის დონის განსაზღვრა.*
- **განსაკუთრებული აღნიშვნები** – *შეფასდეს უბნის ამგები გრუნტების, ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრები: ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, პუასონის კოეფიციენტი, სიმკვრივე, საგების კოეფიციენტი, ხახუნის კუთხე, შეჭიდულობა, საანგარიშო წინაღობა, ძირითადი კლდოვანი გრუნტების წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ისე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში. (Rc(o); ρ; E; C; μ; φ) და სხვა.*
- **შენიშვნა** – *საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნას აკინძული, მინიმუმ 2 ეგზემპლარად (ქართულ ენაზე) და ავრეთვე ელ. ვერსია;*
- ***დანართი*** – *ტოპოგრაფიული გეგმა, საპროექტო შენობის კონტურით და ჭაბურღილების განლაგების სავარაუდო ადგილების მითითებით;*

- *კონსტრუქტორი:* *შ. მდინარაძე* */შალვა მდინარაძე/*

mob. 557 270 270
E-mail sh.mdinaradze@cubicon.ge

მიწერილობა

ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ.№64-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ტერიტორიაზე (ს/კ 01.12.01.005.625) საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) 1.19 პუნქტის მე-2 შენიშვნის და პ 1.22-ის, პნ 02.01-08-ის (შენობების და ნაგებობების ფუძეები), სნ და წ 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) და პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) მოთხოვნათა საფუძველზე.

უშუალოდ სამშენებლო მოედნის ფარგლებში, წინა წლებში საინჟინრო გეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა. მიმდინარე წლის ივნისში, ჩვენდამი დაქვემდებარებული შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის” საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, იმავე მისამართის (ს/კ 01.12.01.005.040) ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის (დამკვეთი შპს „არქი გურამიშვილი“), რომლის ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული იყო 36 სართულიანი შენობის მშენებლობა და გაცემულია შესაბამისი დასკვნა, რომლის მასალები დაცულია შპს „გეოინჟკომპლექსის“ არქივში და საჭიროებისას, გამოყენებული იქნეს ქვემდებარე დასკვნის შედგენისას.

სამშენებლო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზ.№64-ში, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დ. გურამიშვილის გამზირი, ხოლო სამხრეთიდან – ქსნის ქუჩა.

გეომორფოლოგიურად წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა, ძველი ჭალის-ზედა ტერასის (II ტერასა) ნაწილს, უმნიშვნელო დახრით მდინარის მამართულებით. ტექნიკური დავალებით, გათვალისწინებულია 28 სართულიანი შენობის მშენებლობა, ნოლსქვეშა ორი სართულით.

ტექნიკური დავალების საფუძველზე, დამკვეთთან შეთანხმებით, ჩატარდეს ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, შემდეგი მოცულობით:

სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების შესასწავლად, კონსტრუქტორის მიერ ტოპოგეგმაზე მონიშნულ ადგილებში, გაიბურღოს 5 ჭაბურღილი სავარაუდო სიღრმით 25,0 მ თითოეული.

ბურღვა ჩატარდეს თვითმავალი საბურღი დაზგით „უგბ-1ვს“, მექანიკური-სვეტური მეთოდით დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ბურღვის პროცესში აღებული იქნეს ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები, სნ და წ 1.02.07-87-ის პ 3.75-ში რეგლამენტირებული რაოდენობით.

აღებულ ნიმუშებზე ჩატარდეს გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევა, ამავე ნორმატიული დოკუმენტის მე-8 სავალდებულო დანართის მიხედვით.

გრუნტის წყლის გამოვლინებისას, ჭაბურღილებიდან აღებული იქნეს სინჯები ქიმიური ანალიზებისთვის, სნ და წ 1.02.07-87-ის 3.56 პუნქტის შესაბამისად (არანაკლები სამისა).

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში (დასკვნა), თანახმად ზემოაღნიშნული ნორმატიული დოკუმენტის მე-9 დანართისა და აიკინძოს 2 ეგზემპლარად. შესრულდეს კვლევის მასალების ელექტრონული ვერსია.

შპს „გეოინჟკომპლექსის“
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ. №64-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.12.01.005.625) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

თავი I – შესავალი

შპს „თბილაბრეშუმის" (დირექტორი ოთარ ლომაია) დაკვეთით (ხელშ. №72/2021), შპს „გეოინჟკომპლექსმა", 2021 წლის აგვისტო-სექტემბერში, ზემო-აღნიშნულ მისამართზე, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა:

– სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა;

– დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

ტექნიკური დავალების თანახმად, ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 28 სართულიანი შენობის მშენებლობა, ნოლსქვეშა 2 სართულით, რომლის დაწვრილებითი ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტექნიკურ დავალებაში.

უშუალოდ გამოყოფილ მოედანზე, წინა წლებში ჩატარებული კვლევის მასალები ცნობილი არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ მომიჯნავე ტერიტორიაზე (იგივე მისამართზე) 2021 წლის ივნისში, ჩვენდამი დაქვემდებარებული შპს „ახალი საქქალაქ-მშენპროექტის" საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, ჩატარებულია კვლევები 36 სართულიანი შენობისთვის, რომელის მასალები დაცულია ადგილობრივ არქივში და გამოყენებულია წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების საფუძველზე შედგენილი მიწერილობის თანახმად ტერიტორიაზე თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ 1-ვს", მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით, გაიბურღა 5 ჭაბურღილი, სიღრმით 25 მ თითოეული.

შესრულებული სამუშაოს მთლიანი მოცულობა 125,0 გრძ. მეტრია.

სამშენებლო მოედნის ამგები: თიხოვანი, მსხვილნატეხოვანი გრუნტების და ძირითადი ქანების მდგენელი (არგილითი, ქვიშაქვა) ფენებიდან, აღებულია

დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის 34 ნიმუში, ხოლო რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების განსასაზღვრავად, აღებულია გრუნტის წყლის 3 სინჯი.

გრუნტის ნიმუშების და გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები, ჩატარდა შპს „გეოინჟკომპლექსის“ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ლაბორატორიის უფროსის დ. ახობაძის ხელმძღვანელობით.

მახლობელ უბნებზე, წინა წლებში ანალოგიურ ძირითად ქანებზე ჩატარებულია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა შესრულებული სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების თვისებებისა და მასივში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კვლევის ლაბორატორიაში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით.

მიმდინარე კვლევისას აღებულია და გამოკვლეულია ძირითადი ქანების მდგენელი ფენების (არგილითი, ქვიშაქვა) 6–6 ნიმუში.

ლაბორატორიული კვლევის შედეგები, დასკვნას ერთვის კრებსითი ცხრილის სახით.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმა, რომლის მიხედვით შესრულდა გამონამუშევართა გეგმურ-სიმაღლითი მიბმა და გეოლოგიური ჭრილების აგება.

საველე სამუშაოები ჩატარდა შპს „გეოინჟკომპლექსის“ წამყვანი ინჟინერ გეოლოგის კ. სირაძის ხელმძღვანელობით.

თავი II – საკვლევი ტერიტორიის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, გეომორფოლოგია, კლიმატური პირობები, ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები)

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დ. გურამიშვილის გამზ. №64-ში (ს/კ 01.12.01.005.625). დასავლეთიდან ისაზღვრება დ. გურამიშვილის გამზირით, სამხრეთიდან – ქსნის ქუჩით.

გეომორფოლოგიურად, წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ძველი ჭალის-ზედა ტერასის (II ტერასა) ნაწილს. ტერიტორია ამჟამად მოსწორებულია და ხასიათდება უმნიშვნელო დახრით დასავლეთისკენ, ტექნოგენური რელიეფით.

რელიეფის სიმაღლეთა აბსოლუტური ნიშნულები გამოყოფილი ტერიტორიის საზღვრებში, მერყეობენ 460,0–462,0 მ-ის ფარგლებში.

რაიონის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები პნ 05.01-09 („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, (ღრმაღელის მონაცემებით), შემდეგია:

– საშუალო წლიური ტემპერატურა +11,9°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –24°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი – +39°C;

– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 15;

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – W_0=0,60 კპა;

– ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 33 მ/წმ;

– ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – არ გააჩნია.

სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები, წარმოდგენილი მოყვითალო და მოლურჯო-რუხი ფერის არგილითების და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობით, რომლებიც დაფარულია ტექნოგენური (tQ_{IV}), დელუვიური (dQ_{IV}) თიხოვანი და ალუვიური (aQ_{IV}) მსხვილნატეხოვანი თანამედროვე მეოთხეული გრუნტებით.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, საკვლევი ტერიტორია ხასიათდება მიწისქვეშა წყლების არსებობით, რომელთა გამოვლინება დაფიქსირებულია მეოთხეულ, ალუვიურ ნალექებში 12,30–13,0 მ-ის სიღრმეზე.

წყლები მინერალიზებულია და ხასიათდებიან სხვადასხვა ხარისხის სულფატური აგრესიულობით რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ.

თავი III – ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

III_1 – უბნის გეოლოგიური აგებულება

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მონაცემების მიხედვით, შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან 0,6–2,0 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტი, ნაყარი წარმოდგენილი – სამშენებლო ნაგვის, კენჭების, ღორღის და თიხოვანი გრუნტის არაერთგვაროვანი ნარევით (ფენა 1), რომელიც ზოგან შემკვრივებულია, ზოგან სუსტად შეკავშირებული.

ნაყარის ქვეშ, 0,6–2,0 მ-ის სიღრმიდან 10,0–11,0 მ-ის სიღრმემე გავრცელებულია დელუვიური (dQ_{IV}), ვიზუალურად ნახევრადმყარი კონსისტენციის, თაბაშირიანი, კენჭების ჩანართებიანი ყავისფერი თიხა (ფენა 2), სიმძლავრით 6,70–9,4 მ. თიხების შუა ნაწილში ლინზების სახით დაფიქსირებულია ქვიშნარის 30%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3), სიმძლავრით 1,2–3,3 მ.

თიხოვანი გრუნტის ქვეშ, სიღრმეში 10,0–11,0 მ-დან გავრცელებულია ალუვიური (αQ_{IV}) 30%-მდე ქვიშნარის შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3) სიმძლავრით 3,0–4,5 მ.

ზემოაღნიშნული ფენები მეოთხეული ასაკისაა და წარმოადგენენ ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანების ბუნებრივ საფარ გრუნტებს.

ძირითადი ქანები დაფიქსირებულია თითქმის თანაბარ დონეზე, მიწის ზედაპირიდან 13,7–15,0 მ სიღრმის ინტერვალში. ისინი ეროზიული ზედაპირიდან 5,40–5,80 მ-ის სიღრმემდე ძლიერ გამოფიტულია, დანაწევრებულ-დაშლილია და განიხილება, როგორც ძირითადი ქანის გამოფიტვის ქერქის ელუვირებული ზონა, ელუვიონი (ფენა 4). ძლიერ გამოფიტული ზონის ქვეშ 19,5–20,4 მ-ის სიღრმიდან, გავრცელებულია იგივე გენეზისის ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი – წარმოდგენილი არგილითების და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობით, ქვიშაქვების სიჭარბით ≈60% (ფენა 5). მორიგეობის ხილული

სიმძლავრე 4,6–5,5 მ-ია და სიღრმის ზრდასთან ერთად გამოფიტვის ხარისხი მცირდება.

მეზობელ უბანზე ფერდის ძირში არსებული გაშიშვლებების მიხედვით, ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია: დაქანების აზიმუტი ჩ.ა. 25–30°, დახრის კუთხე 40–45°.

გეოლოგიური საფონდო მონაცემებით, ზედა ეოცენის ნალექების სიმძლავრე რამდენიმე ასეული მეტრია.

III$_2$ – ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობები

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, ტერიტორია ხასიათდება მიწისქვეშა წყლების გავრცელებით, რომელიც გამოვლენილია ხუთივე ჭაბურღილში, 12,3–13,0 მ-ის სიღრმეზე.

რელიეფური ფაქტორებიდან და წყლების გავრცელების თითქმის თანაბარი დონიდან გამომდინარე, მათ გააჩნიათ ერთიანი სარკე და მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ (მდინარეულ ფილტრატებს და ატმოსფერული ნალექების ჩანაჟონი) მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებს.

მიწისქვეშა წყლები ცირკულირებენ ალუვიურ ნალექებში, უწნევოა და ძირითადად იკვებებიან ატმოსფერული ნალექების და ტექნოგენური წყლების ხარჯზე, მათი მაქსიმალური აწევის საპროგნოზო დონედ მიღებული იქნეს +1,0 მ, დაფიქსირებულ დონესთან მიმართებაში.

თავი IV – გრუნტების და გრუნტის წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები

IV$_1$ – გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც დასკვნის შესავალში აღინიშნა, ჭაბურღილებიდან აღებული იყო უბანზე გავრცელებული გრუნტების დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები (34 ნიმუში), აქედან:

– 10 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – თიხოვანი გრუნტიდან (ფენა 2);

– 6 დარღვეული სტრუქტურის ნიმუში – მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან (ფენა 3);

– 6 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანიდან (ფენა 4);

– 12 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანიდან (ფენა 5).

თიხოვანი გრუნტის ნიმუშებზე, ლაბორატორიაში განისაზღვრა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები: ფიზიკური მახასიათებლების 10 სრული კომპლექსი და 6 კომპრესიული გამოცდა.

მსხვილნატეხოვანი გრუნტის ნიმუშებზე (6 ნიმუში) განისაზღვრა: გრანულო-მეტრიული შემადგენლობა, შემავსებლის ნომენკლატურა და მისი წყლოვანი გამონაჟურის ქიმიური ანალიზები.

ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანის 6 ნიმუშზე განისაზღვრა: სიმკვრივე და არგილითის დამარილიანების ხარისხი. ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანების მორიგეობის მდგენელ ფენებზე (12 ნიმუში) განისაზღვრა: არგილითების (6) და ქვიშაქვების (6), სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (R_C) ბუნებრივ და წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, აგრეთვე სიმკვრივე (ρ).

ქვემოთ ცხრილ 1-ში, მოსახერხებელი გამოყენებისთვის კრებსითი ცხრილიდან ამოკრებილია თიხოვანი გრუნტის ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ მნიშვნელობათა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,18–0,21	0,19
2	ტენიანობა		W	%	15,3–21,0	18,9
3	სიმკვ-რივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,85–1,93	1,89
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,55–1,64	1,59
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,72–2,73	2,72
4	ფორიანობა		n	%	39,9–43,3	41,5
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,663–0,763	0,710
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	-0,10–0,16	0,06
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,61–0,79	0,72

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტი პლასტიკურობის რიცხვის ($\overline{I_P}$=0,19) მიხედვით, მიეკუთვნება თიხას, დენადობის მაჩვენებლის ($\overline{I_L}$=0,06) მიხედვით ნახევრადმყარი კონსისტენციისაა.

ტენიანობა W=15,3–21,0%-ის ფარგლებშია, ფორიანობა n=39,9–43,3%, ფორიანობის კოეფიციენტის ($\overline{e}$=0,710) მნიშვნელობის დროს.

ტენიანობის ხარისხის მიხედვით ($\overline{S_r}$=0,72<0,80), გამოკვლეული გრუნტის ფორები, ნაწილობრივ არის შევსებული წყლით.

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები, საჭიროებისას გამოიყენება ანგარიშებისთვის.

კომპრესიული გამოცდები (6 გამოცდა) ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის მდგომარეობაში, P=0,5 კგძ/სმ^2 დატვირთვების საფეხურებით P=4,0 კგძ/სმ^2-მდე აყვანით. ჯდომადი თვისებების დასადგენად ρ=2 კგძ/სმ^2 დატვირთვაზე, გრუნტს მიეწოდა წყალი.

ქვემოთ, ცხრილ 2-ში მოცემულია ჯდენის მოდულის მნიშვნელობები P=2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას (შეესაბამება გრუნტის სავარაუდო საანგარიშო წინაღობას) დასველებამდე და დასველების შემდეგ. დეფორმაციის მოდულის მნიშვნელობები 1,0–2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვების ინტერვალში, დასველებამდე და დასველებულ მდგომარეობაში დატვირთვის მომდევნო საფეხურზე E=2,5 კგძ/სმ^2.

ცხრილი 2

№	ჭაბ.№	ნიმუშის აღების სიღრმე, h მ	ბრაწ. № / ლაბორ. №	ჯდენის მოდული ℓp მმ/მ P=3,0 კგძ/სმ² დატვირთვისას დასველებამდე / დასველებული	დეფორმაციის მოდული P=1,0-2,0 კგძ/სმ² დატვირთვის ინტერვალში დასველებამდე / დასველებული
1	ჭაბ.№1	8,0	$\frac{1}{671}$	$\frac{21}{29}$	$\frac{240+400+400}{133}=347$
2	ჭაბ.№1	10,5	$\frac{2}{672}$	$\frac{27}{30}$	$\frac{200+240+400}{150}=280$
3	ჭაბ.№2	9,0	$\frac{3}{675}$	$\frac{30}{32}$	$\frac{171+200+240}{300}=204$
4	ჭაბ.№3	8,0	$\frac{4}{682}$	$\frac{26}{35}$	$\frac{171+400+400}{171}=324$
5	ჭაბ.№4	7,5	$\frac{5}{691}$	$\frac{16}{249}$	$\frac{300+600+600}{133}=500$
6	ჭაბ.№5	7,0	$\frac{6}{699}$	$\frac{23}{30}$	$\frac{240+300+400}{133}=313$
საშუალო მნიშვნელობა				$\frac{24}{30}$	$\frac{328}{170}$

ცხრილში მოცემული მნიშვნელობების მიხედვით, თიხოვანი გრუნტის (ფენა 2) ჯდენის მოდულის სიდიდე დასველებამდე ტოლია $\overline{\ell p}_{2.0}$=24 მმ/მ, დასველების შემდეგ ჯდენის მოდული $\overline{\ell p}_{2.0}$=30 მმ/მ.

დეფორმაციის თავისუფალი მოდულის მნიშვნელობა დასველებამდე ტოლია $\overline{E}_{1.0\text{-}2.0}$=328 კგძ/სმ², დასველების შემდეგ დატვირთვის მომდევნო საფეხურზე $\overline{E}_{2.5}$=170 კგძ/სმ².

ზემოთ განხილულიდან ჩანს, რომ დასველებისას თიხოვანი გრუნტის დეფორმაციული მახასიათებლები მნიშვნელოვნად ქვეითდება, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული (საანგარიშო მნიშვნელობებად გამოყენებული უნდა იქნეს დასველებული გრუნტის მახასიათებლები).

ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტი დასველებაზე რეაგირებს უმნიშვნელოდ, რომლის ფარდობითი ჯდომადობა $\varepsilon_{s\ell}$=0,003–0,009 ფარგლებშია, რაც ნაკლებია კრიტერიუმზე და და გრუნტი მიეკუთვნება არაჯდომადს.

ძვრაზე გამოცდები არ ჩატარებულა, მათი სიმტკიცის მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები, განსაზღვრულია ფიზიკური პარამეტრების მიხედვით (Ინ 02.01-08 დანართი 2, ცხრ. 2)

ხვედრითი შეჭიდულობა C=61 კპა (0,61 კგძ/სმ^2);

შინაგანი ხახუნის კუთხე φ=19°.

მსხვილნატეხოვან გრუნტზე განისაზღვრა გრანულომეტრიული შემადგენლობა და შემავსებლის ნომენკლატურა 6 ნიმუშზე (კერნის მთლიანი გამოსავალი), რომლის მიხედვით ფენა 3-ის მსხვილნატეხოვანი გრუნტი მიეკუთვნება 20,3–26,3%-მდე პლასტიკური კონსისტენციის ქვიშნარის შემავსებლიან კენჭნაროვან გრუნტს.

ფენა 4-ის ძირითადი ქანის ძლიერ გამოფიტულ ნიმუშებზე (6 ნიმუში) განისაზღვრა გრუნტის (არგილითის) სიმკვრივე, რომლის თანახმად 1,97–2,03 გ/სმ^3 ფარგლებშია ($\overline{\rho}$=2,0 გ/სმ^3).

ძირითადი ქანების ნაკლებად გამოფიტული ფენის (ფენა 5 – არგილითი, ქვიშაქვა) 12 ნიმუშზე (6–6 ნიმუში), განისაზღვრა სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე ბუნებრივ და წყალნაჯერ მდგომარეობაში (R_C) და სიმკვრივე (ρ).

ლაბორატორიული კვლევის შედეგები დასკვნას ერთვის კრებსითი ცხრილების სახით.

ქვემოთ ცხრილ 3-ში შეტანილია არგილითების და ქვიშაქვების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და გამოთვლილია მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 3

№	ბრუნტის დასახელება	ჭაბ.№	ნიმუშის ალების სიღრმე h მ	სიმკვრივე გ/სმ³	სიმტკიცის ზღვარი		დარბილება-დობის კოეფიციენტი	დრეკადობის მოდული Eდ მპა
					ბუნე-ბრივი	წყალნა-ჯერი		
1	არგილითი (ფენა 5)	ჭაბ.№2	21,0	2,05	4,4	2,8	0,65	
2		ჭაბ.№2	23,5	2,10	4,9	2,5	0,51	
3		ჭაბ.№3	20,5	2,12	4,5	2,5	0,55	
4		ჭაბ.№3	23,8	2,15	4,7	2,7	0,57	
5		ჭაბ.№4	21,0	2,02	3,5	2,6	0,75	
6		ჭაბ.№4	23,0	2,14	5,1	3,1	0,61	
საშუალო მნიშვნელობა				2,10	4,5	2,7	0,61	1230
7	ქვიშაქვა (ფენა 5)	ჭაბ.№2	21,8	2,35	14,1	11,8	0,84	
8		ჭაბ.№2	24,0	2,42	16,9	13,6	0,81	
9		ჭაბ.№3	21,2	2,30	13,1	12,4	0,95	
10		ჭაბ.№3	24,5	2,48	15,9	11,4	0,72	
11		ჭაბ.№4	21,7	2,39	13,8	13,3	0,97	
12		ჭაბ.№4	24,0	2,50	17,3	14,0	0,81	
საშუალო მნიშვნელობა				2,41	15,2	12,8	0,85	2756

შენიშვნა: დრეკადობის მოდულის მნიშვნელობა მოცემულია საარქივო მასალების მონაცემების გამოყენებით.

ცხრილში მოცემული მნიშვნელობებით, პნ 02.01-08-ის საკლასიფიკაციო ცხრილის (დანართი 1, ცხრ. 1) თანახმად, წყალნაჯერ მდგომარეობაში სიმტკიცის მიხედვით, გრუნტები შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

– არგილითი (ფენა 5) – დაბალი სიმტკიცის ნახევრადკლდოვანი გრუნტი – R_C=2,5–3,1 მპა, საშუალო მნიშვნელობით $\overline{R_C}$=2,7 მპა, დრეკადობის მოდული $\overline{E}$=1230 მპა, ρ=2,02–2,15 გ/სმ³ ($\overline{\rho}$=2,10 გ/სმ³).

– ქვიშაქვა (ფენა 5) – მცირე სიმტკიცის კლდოვანი გრუნტი – R_C=11,4–14,0 მპა, $\overline{R}_C$=12,8 მპა, სიმკვრივით ρ=2,30–2,50 გ/სმ³ ($\overline{\rho}$=2,41 გ/სმ³).

განხილულიდან ჩანს, რომ ძირითადი ქანების მდგენელი ფენების არგილითების და ქვიშაქვების სიმტკიცის ზღვრები, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ძირითადი ქანის მთლიანი მასივისთვის, სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, შეიძლება რეკომენდებული იქნეს, მასივში მათი პროცენტული თანაფარდობის მიხედვით (არგილითი 40%, ქვიშაქვა 60%).

$$R_{c,n}=R_{C_{არგ}}.+ R_{C_{ქვ.ქვა}}=(0,4\times2,7)+(0,6\times12,8)=1,08+7,68=8,76\approx9,0 \text{ მპა}$$

დრეკადობის მოდულის საშუალო მნიშვნელობაც $E_დ$=2146,0 მპა, მოცემულია საარქივო მასალებიდან პროცენტული თანაფარდობის გათვალისწინებით.

გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული შესწავლის პარალელურად, განისაზღვრა მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტის შემავსებლის (ქვიშნარი) და ძირითადი ქანის ერთ-ერთი მდგენელი ფენის (არგილითი) დამარილიანების ხარისხიც, რომლის თანახმად, ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების ჯამური შემცველობა ქვიშნარისთვის 3,5–4,1%-ის ფარგლებშია, ხოლო არგილითისთვის 2,5–3,5%, რაც მეტია 2%-იან კრიტერიუმებზე და გრუნტებს მიაკუთვნებს დამარილიანებულის კატეგორიას.

IV$_2$ – ბრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები

როგორც შესავალში აღინიშნა, ჭაბურღილებში გამოვლენილი მიწისქვეშა წყლებიდან, ანალიზებისთვის აღებული იყო წყლის 3 სინჯი. ქიმიური ანალიზის შედეგების თანახმად, გამოკვლეული წყალი-გარემო დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178-76) გამოყენებისას ძლიერ აგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W_4–W_6 – W_8 მარკის ბეტონებისადმი.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S<65%, C_3A<7%, C_3A+C_4AF<22%, წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4–W_6–W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონებისადმი.

არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის მონაცემების საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე, არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა), არ არის განვითარებული.

   არახელსაყრელ ფაქტორებად ჩაითვლება უბანზე გავრცელებული გრუნტების (კენჭნაროვანი და არგილითი) სულფატური დამარილიანება.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით და არახელსაყრელი ფაქტორის (სულფატური დამარილიანება) გათვალისწინებით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია, მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიურ ჭრილში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოიყოფა 4 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **(სგე):**

   I სგე – თიხა (ფენა 2);

   II სგე – კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3);

   III სგე – ძირითადი ქანი ძლიერ გამოფიტული (ფენა 4) ელუვიონი;

   IV სგე – ძირითადი ქანი, არგილითების და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული (ფენა 5).

   ნაყარი (ფენა 1) ქვაბულით მოსახსნელია და **სგე**-ად არ განიხილება.

3. დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან (27 სართული) და ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, დაფუძნება უნდა

განხორციელდეს ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯების მეშვეობით **IV სბე**-ს (ფენა 5) გრუნტზე, რაც წარმოადგენს დაფუძნების ოპტიმალურ ვარიანტს.

საყრდენი ხიმინჯების მზიდუნარიანობა განისაზღვრება, სნ და წ 2.02.03-85-ის, პ 4.1-ის მე-5 და მე-6 ფორმულებით (საჭირო სიდიდე, მიიღწევა ძირითად ქანში ხიმინჯის შესვლის სიგრძის და დიამეტრის მიხედვით).

4. ფუძის ანგარიშისათვის, ქვემოთ, ცხრილ 4-ში მოცემულია ყველა აუცილებელი საანგარიშო მახასიათებელი ოთხივე **სბე**-ის გრუნტისთვის, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, ნორმატიული დოკუმენტების, სნ და წ 2.02.01-83-ის დამხმარე სახელმძღვანელოს ცხრ. 119-ის და საარქივო მასალების მონაცემების გამოყენებით.

   გრუნტების: საგების, პუასონის და ფილტრაციის კოეფიციენტების საანგარიშო მნიშვნელობები, აღებულია „დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარიდან“ და „ტექნიკოს გეოლოგის ცნობარიდან“.

ცხრილი 4

№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები			
		I სბე (ფენა 2)	II სბე (ფენა 3)	III სბე (ფენა 4)	IV სბე (ფენა 5)
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ^3	1,89	1,95	2,0	2,30
2	ხვედრითი შეჭიდულობა, c კპა (კგძ/სმ^2)	61(0,61)	5(0,05)	–	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	19	36	–	–
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ^2)	17(170)	50(500)	30(300)	–
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)	250(2,5)	450(4,5)	350(3,5)	–
6	სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c,n}$ კპა (კგძ/სმ^2)	–	–	–	9000 (90)
7	დრეკადობის მოდული, $E_დ$ მპა (კგძ/სმ^2)	–	–	–	2146,0
8	საგების კოეფიციენტი k კგძ/სმ^3	3,0	8,0	20,0	60,0
9	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,42	0,27	0,30	0,25
10	ფილტრაციის კოეფიციენტი, $k_ფ$ მ/დღ.ღ.	<0,01	>0,1	>0,1	<0,1
11	ბეტონის გრუნტთან ხახუნის კოეფიციენტი f_n	0,45	0,55	0,70	0,70

შენიშვნა: ხიმინჯოვანი საძირკვლებისთვის, ხიმინჯების შემომფენავი გრუნტების საგების კოეფიციენტების (C_Z) საანგარიშო

მნიშვნელობები, აიღება სნ და წ 2.02.03-85-ის („ხიმინჯოვანი საძირკვლები“) დანართი 1-ის რეკომენდაციების მიხედვით.

5. გრუნტების და გრუნტის წყლის სულფატური დამარილიანება-აგრესიულობის გამო, დასაპროექტებელი შენობის მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის გამოყენებული იქნეს სულფატომედეგი ცემენტების სახეებზე დამზადებული ბეტონები (იხ. სტანდარტების ჩამონათვალი წყლის სინჯების ქიმიური ანალიზის დასკვნაში).

6. პროექტის რეალიზებისას, ნოლსქვეშა 2 სართულის არსებობიდან გამომდინარე, გრუნტის წყლის სარკის შედარებით ღრმად (12,3 მ) გავრცელების და მისი დონის საპროგნოზო აწევის (+1,0 მ) გათვალისწინებით (h=11,3), მშენებლობის პროცესს ხელი არ შეეშლება.

   გრუნტის წყლის გავრცელების მაქსიმალურ დონედ, მიჩნეული იქნეს 450,1 მ ნიშნული.

7. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი და მისი შემოგარენი 8 ბალიანი სეისმურობის ზონაშია.

   სეისმური თვისებების მიხედვით, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

   ა) ნაყარი (ფენა 1) – III კატეგორიას;

   ბ) დანარჩენი ფენები (ფენები 2, 3, 4 და 5) – II კატეგორიას.

შენიშვნა: დასაპროექტებელი შენობის სართულიანობა (27 სართული) აღემატება პნ 01.01-09-ს მე-8 ცხრილში მოცემული შენობების სართულიანობას და მხედველობაში იქნეს მიღებული ამავე ცხრილის მე-4 შენიშვნა.

ტერიტორიის საანგარიშო ბალიანობის საკითხი, გადაწყდეს გრუნტული პირობების მიხედვით, გეომორფოლოგიურ ფაქტორთან დამოკიდებულებაში.

სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. თბილისისთვის A=0,17.

8. ქვაბულის ან თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა განისაზღვროს სნ და წ 3.02.01–87-ის 3.11 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შენიშვნა: 5 მ-ზე ღრმა ქვაბულის ამოღებისას, ფერდოების დამუშავება, უნდა განხორციელდეს სათანადოდ შემუშავებული პროექტის საფუძველზე. ამ შემთხვევაში საჭირო გახდება ქვაბულის მთელი პერიმეტრის გამაგრება (ხიმინჯოვანი, მთლიანი ნარანდი).

9. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სნ და წ IV-2-82-ის 1-1 ცხრილის თანახმად, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:
   ა) ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1900 კგ/მ^3 (რიგ. №24^ბ);
   ბ) თიხა (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, სიმკვრივით 1890 კგ/მ^3 (რიგ. №8^ბ);
   გ) კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3) – სამივე სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ^3 (რიგ. №6^ბ);
   დ) ძირითადი ქანი, ძლიერ გამოფიტული (ფენა 4) – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – V ჯგუფს, ხელით დამუშავებისას – Vр ჯგუფს, სიმკვრივით 2000 კგ/მ^3 (რიგ. №№3^ა; 28^ა);
10. ბურღვით-ნატენი დასაყრდნობი ხიმინჯების მოწყობისას, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდისა და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგრადობიდან გამომდინარე, მიღებული იქნეს სნ და წ IV–2–82 მე-4 კრებულის „ჭაბურღილები", 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი

შპს„გეოინჟკომპლექსის"
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	
	ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. გურამიშვილის გამზ. №64 (ს.კ. 01.12.01.005.625) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

№№	გამონამუშევარი	ალების სიღრმე	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	პლასტიკურობა			ბუნებრივი ფენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფ-ტი		დენადობის მაჩვენებელი	ტენიანობის ხარისხი	წონასწორი მდგომის მაჩვენებელი	დამარილიანების ხარისხი	ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების ჯამური შემცველობა	თაბაშირის შემცველობა	კარბონატების შემცველობა	ბრუნტის დასახელება
					დენადობის ზღვარი	პლასტიკურ. ზღვარი	რიცხვი		ბრუნტის	მარილი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკების		საწყისი	დენადობის ზღვარზე								
		h			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	e_L	I_L	S_r	I_{ss}	D_{sal}	-	$CaSO_4 \cdot 2H_2O$	$CaCO_3$	
		მ			-	-	-	%	გ/სმ^3			%	-	-	-	-	-		%	%	%	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
1	ჭაბ. №1	5.2-7.3	მონ.	670	0.21	0.14	0.07	16.5							0.36			დამ.	3.5	2.3	4.5	კენჭნაროვანი ბრ შემ. ქვიშნარი
2		8.0	მონ.	671	0.35	0.17	0.18	18.1	1.93	1.63	2.72	39.9	0.664	0.952	0.06	0.74	0.17					თიხა
3		10.5	მონ.	672	0.37	0.18	0.19	21.0	1.90	1.57	2.73	42.5	0.739	1.010	0.16	0.78	0.16					თიხა
4		15.0	მონ.	673					1.99									დამ.	2.5	1.7	3.0	არგილითი
5		18.0	მონ.	674					2.01													არგილითი
6	ჭაბ. №2	9.0	მონ.	675	0.37	0.18	0.19	19.9	1.88	1.57	2.73	42.6	0.741	1.010	0.10	0.73	0.15					თიხა
7		11.5-13.7	მონ.	676	0.18	0.13	0.05	14.0							0.20							
8	ჭაბ. №3	6.0	მონ.	681	0.35	0.16	0.19	17.4	1.92	1.64	2.72	39.9	0.663	0.952	0.07	0.71	0.17					თიხა
9		8.0	მონ.	682	0.38	0.18	0.20	19.5	1.85	1.55	2.73	43.3	0.763	1.037	0.08	0.70	0.16					თიხა
10		9.8	მონ.	683	0.36	0.18	0.18	20.0	1.93	1.61	2.72	40.9	0.691	0.979	0.11	0.79	0.17					თიხა
11		10.0-12.2	მონ.	684	0.19	0.15	0.04	17.8							0.70			დამ.	4.1	3.0	5.5	კენჭნაროვანი ბრ შემ. ქვიშნარი
12		15.5	მონ.	685					1.98													არგილითი
13		18.5	მონ.	686					2.00									დამ.	3.5	2.4	3.5	არგილითი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
14	ჭაბ. №4	7.5	მონ.	691	0.37	0.18	0.19	16.1	1.86	1.60	2.72	41.1	0.698	1.006	-0.10	0.63	0.18					თიხა
15		10.0	მონ.	692	0.37	0.19	0.18	20.5	1.91	1.59	2.72	41.7	0.716	1.006	0.08	0.78	0.17					თიხა
16		12.5-14.5	მონ.	693	0.23	0.16	0.07	18.8							0.40							კენჭნაროვანი ბრ შემ. ქვიშნარი
17	ჭაბ. №5	4.8-6.2	მონ.	698	0.21	0.17	0.04	18.3							0.33							კენჭნაროვანი ბრ შემ. ქვიშნარი
18		7.0	მონ.	699	0.38	0.17	0.21	15.3	1.87	1.62	2.73	40.6	0.683	1.037	-0.08	0.61	0.21					თიხა
19		9.5	მონ.	700	0.36	0.18	0.18	20.8	1.89	1.56	2.72	42.5	0.738	0.979	0.16	0.77	0.14					თიხა
20		12.0-14.0	მონ.	701	0.20	0.15	0.05	16.3							0.26			დამ.	3.7	2.7	5.0	კენჭნაროვანი ბრ შემ. ქვიშნარი
21		16.0	მონ.	702					1.97									დამ.	2.8	1.9	3.0	არბილითი
22		19.0	მონ.	703					2.03													არბილითი

					გრანულომეტრული შემადგენლობა, % ფრაქციის ზომა, მმ							ბრუნტის დასახელება
					>60	60-40	40-20	20-10	10-5	5-2	<2	
1	ჭაბ. №1	5.2-7.3	მონ.	670	10.6	16.3	12.5	15.0	10.7	8.6	26.3	კენჭნაროვანი ბრ. შემ. ქვიშნარი
2	ჭაბ. №2	11.5-13.7	მონ.	676	12.3	10.7	13.7	15.5	9.9	12.3	25.6	კენჭნაროვანი ბრ. შემ. ქვიშნარი
3	ჭაბ. №3	10.0-12.2	მონ.	684	8.4	18.8	12.0	19.4	12.0	9.1	20.3	კენჭნაროვანი ბრ. შემ. ქვიშნარი
4	ჭაბ. №4	12.5-14.5	მონ.	693	8.7	11.1	10.4	24.0	10.5	11.9	23.4	კენჭნაროვანი ბრ. შემ. ქვიშნარი
5	ჭაბ. №5	4.8-6.2	მონ.	698	11.0	15.3	13.3	21.2	9.5	8.8	20.9	კენჭნაროვანი ბრ. შემ. ქვიშნარი
6		12.0-14.0	მონ.	701	7.9	13.8	14.5	21.3	7.4	9.6	25.5	კენჭნაროვანი ბრ. შემ. ქვიშნარი

ინჟინერი მ. ჭარბაძე

წამყვანი ინჟინერ ქიმიკოსი ნ. სურგულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „ახალი საძძალაძმშენაროექტი“ საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილება	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	გეოტექნიკური ლაბორატორია ქ. თბილისი შარტავას ქ. №43დ
ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. გურამიშვილის გამზ. №64 (ს.კ. 01.12.01.005.625) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	

№№	ბამონამუშევარი	ალების სიღრმე	ბამოცდის ტიპი	ლაბ. №	სიმკვრივე	დიამეტრი	ფართობი	ძაბვალენტური კერის დიამეტრი		მრღვევი ძალა	სიმტკიცის ინდექსი	კორექტირების კოეფ-ტი	კორექტირებული სიმტკიცის ინდექსი	კოეფ-ტი	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (ბუნ.)	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (წყალმაჯ.)	სიმკვრივე	დარბილების კოეფ-ტი	ბრუნტის დასახელება
		h			W	D	A	D_e^2	D_e	P	I_s	F	$I_{s(50)}$	C	$Rc\ (\delta_{uc})$	$Rc\ (\delta_{uc})$	ρ	k	
		მ			მმ	მმ	მმ^2	მმ^2	მმ	კნ	მპა	-	მპა	-	მპა	მპა	გ/სმ^3	-	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	ჭაბ. №2	21.0	d-არასწორი ფორმის	677	62.9	32.5	2044.3	2602.8	51.02	0.490	0.19	1.01	0.19	23.0	4.4		2.05	0.65	არგილითი
					59.0	32.2	1899.8	2418.9	49.18	0.301	0.12	0.99	0.12	23.0		2.8			
2		21.8	d-არასწორი ფორმის	678	80.0	40.5	3240.0	4125.3	64.23	2.115	0.51	1.12	0.57	24.5	14.1		2.35	0.84	ქვიშაქვა
					74.7	38.8	2898.4	3690.3	60.75	1.623	0.44	1.09	0.48	24.5		11.8			
3		23.5	d-არასწორი ფორმის	679	60.8	30.4	1848.3	2353.4	48.51	0.505	0.21	0.99	0.21	23.0	4.9		2.10	0.51	არგილითი
					60.1	38.0	2283.8	2907.8	53.92	0.288	0.10	1.03	0.10	24.0		2.5			
4		24.0	d-არასწორი ფორმის	680	72.2	44.6	3220.1	4100.0	64.03	2.532	0.62	1.12	0.69	24.5	16.9		2.42	0.81	ქვიშაქვა
					70.2	38.0	2667.6	3396.5	58.28	1.762	0.52	1.07	0.56	24.5		13.6			
5	ჭაბ. №3	20.5	d-არასწორი ფორმის	687	59.4	35.0	2079.0	2647.1	51.45	0.511	0.19	1.01	0.20	23.0	4.5		2.12	0.55	არგილითი
					55.5	40.4	2242.2	2854.9	53.43	0.288	0.10	1.03	0.10	24.0		2.5			
6		21.2	d-არასწორი ფორმის	688	81.9	50.0	4095.0	5213.9	72.21	2.370	0.45	1.18	0.54	24.5	13.1		2.30	0.95	ქვიშაქვა
					69.8	26.3	1835.7	2337.3	48.35	1.205	0.52	0.98	0.51	24.5		12.4			

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
7	ჭაბ. №3	23.8	d-არასწორი ფორმის	689	70.0	35.2	2464.0	3137.3	56.01	0.586	0.19	1.05	0.20	24.0	4.7		2.15	0.57	არგილითი
					60.2	45.3	2727.1	3472.2	58.93	0.357	0.10	1.08	0.11	24.5		2.7			
8		24.5	d-არასწორი ფორმის	690	85.0	51.3	4360.5	5552.0	74.51	3.008	0.54	1.20	0.65	24.5	15.9		2.48	0.72	ქვიშაქვა
					80.0	42.2	3376.0	4298.5	65.56	1.772	0.41	1.13	0.47	24.5		11.4			
9	ჭაბ. №4	21.0	d-არასწორი ფორმის	694	65.5	29.7	1945.4	2476.9	49.77	0.377	0.15	1.00	0.15	23.0	3.5		2.02	0.75	არგილითი
					65.6	36.5	2394.4	3048.6	55.21	0.318	0.10	1.05	0.11	24.0		2.6			
10		21.7	d-არასწორი ფორმის	695	81.0	50.4	4082.4	5197.9	72.10	2.480	0.48	1.18	0.56	24.5	13.8		2.39	0.97	ქვიშაქვა
					68.5	45.5	3116.8	3968.4	63.00	1.948	0.49	1.11	0.54	24.5		13.3			
11		23.0	d-არასწორი ფორმის	696	71.0	30.6	2172.6	2766.2	52.60	0.571	0.21	1.02	0.21	24.0	5.1		2.14	0.61	არგილითი
					61.3	51.1	3132.4	3988.3	63.15	0.455	0.11	1.11	0.13	24.5		3.1			
12		24.0	d-არასწორი ფორმის	697	77.5	42.0	3255.0	4144.4	64.38	2.611	0.63	1.12	0.71	24.5	17.3		2.50	0.81	ქვიშაქვა
					73.2	41.9	3067.1	3905.1	62.49	2.015	0.52	1.11	0.57	24.5		14.0			

ინჟინერი მ. ჭარბაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	

ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. ბურამოშვილის გამზ. №64 (ს.კ.01.12.01.005.625) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	

ჭაბ. № 1	ადების სიღრმე h = 8.0 მ	ნიმუშის სტრუქტურა: მონოლითი	ლაბ. № 671

ცდა ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშზე

გრაფიკი № 1



ბრუნტის ფიზიკური მახასიათებლები				საწ.	საბ.
ბუნებრივი ტენიანობა		W	%	18.1	21.1
სიმკვრივე	ბრუნტის	ρ	გ/სმ³	1.93	2.08
	მშრალი ბრუნტის	ρ_d		1.63	1.72
	ბრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2.72	
ფორიანობა		n	%	39.9	36.8
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0.664	0.581
ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0.74	0.99
პლასტიკურობა	დენადობის ზღვარი	W_L	–	0.35	
	პლასტიკურ. ზღვარი	W_p	–	0.17	
	რიცხვი	I_p	–	0.18	
დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0.06	0.23

ჯდომადობა

ჯდომადობის საწყისი წნევა	P_{sl}	მპა	-
დამოკიდებულება $\varepsilon_{sl}=f(P)$			
P	მპა	0.2	
ε_{sl}	-	0.008	

ბრუნტის დასახელება პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით		
I_p	18	თიხა

ვერტიკალური დატვირთვა		P	მპა	0	0.05	0.1	0.15	0.2	0.2	0.25	0.3	0.35	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0.664	0.647	0.639	0.634	0.629	0.616	0.601	0.591	0.584	0.579
ჯდენის მოდული		ℓ_p	მმ/მ	0	10	15	18	21	29	38	44	48	51
კუმშვადობის კოეფიციენტი		m_0	მპა$^{-1}$		0.033	0.017	0.010	0.010	-	0.030	0.020	0.013	0.010
დეფორმაციის მოდული	კოშის	E_k	მპა		2.0	4.0	6.7	6.7	-	2.2	3.3	5.0	6.7
	ოსტროგრადსკის	E	მპა		12.0	24.0	40.0	40.0	-	13.3	20.0	30.0	40.0

ინჟინერი მ. ჭარბაძე ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	**ბრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები**	

ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. ბურამოშვილის გამზ. №64 (ს.კ.01.12.01.005.625) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი				
